

# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

## სატენდერო კომისიის სხდომის

### ოქმი № 1

ქ. ზუგდიდი

23 თებერვალი, 2015 წელი

#### სხდომას ესწრებოდნენ:

#### კომისიის წევრები:

- ირაკლი გოგოხია – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;
- გია გულორდავა – ვიცე მერი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- კობა ჯიქია – ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;
- მურთაზ ბოკუჩავა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
- ჯიმშერ შეროზია – ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;
- თამარ სოსელია – ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა და დევნილთა სამსახურის უფროსი;
- ეკატერინე თოდუა – სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
- ზამირა ლაღუა – კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

#### კომისიის აპარატის წევრი:

- დავით ხუნჯუა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მ/შ.

სატენდერო კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის აპარატის წევრი - ასმათ შეროზია.

## დღის წესრიგი:

1. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ქალაქ ზუგდიდში მეუნარგას ქ. №6 -ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების განხილვა-დამტკიცება.

**მოსმინეს:** კომისიის აპარატის წევრის დ. ხუნჯუას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქალაქ ზუგდიდში მეუნარგას ქ. №6 -ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **28500** (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარს.

### კომისიამ განიხილა:

სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები.

### კომისიამ იმსჯელა:

წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი განცხადება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 23 თებერვალი, 2015 წელი;

სავარაუდო ღირებულება: **28500** (ოცდარვა ათას ხუთასი) ლარი.

სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს : დღგ-ს გათვალისწინებით;

კლასიფიკატორის (CPV) კოდი: **71300000**);

დამატებითი ინფორმაცია: ქალაქ ზუგდიდში მეუნარგას ქ. №6 -ში მდებარე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მომსახურების შესყიდვა; შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.

### კომისიამ დაადგინა:


1. დამტკიცდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.
2. განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადება დადგენილი წესის შესაბამისად.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:



ირაკლი გოგოხია

სატენდერო კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილე:



გია გულორდავა

კომისიის წევრები:


 კობა ჯიქია

 მურთაზ ბოკუჩავა

 ჯიმშერ შეროზია

 თამარ სოსელია

 ეკატერინე თოდუა

 ზამირა ლაღუა

სხდომის მდივანი:

 დავით ხუნჯუა